

დანიელ პენაკი

კამო და მე



აგორა

კრასტენგი

კამომ ახალი თამაში მოიგონა: თვალდახუჭულებს უნდა გამოგვეცნო, როდის შემოვიდოდა საკლასო ოთახში ფრანგული ენის მასწავლებელი კრასტენგი. ათი ცდიდან ცხრა გამიცუდდა: თვალებს ვახელდი, მაგრამ ცარიელი მაგიდის გარდა ვერაფერს ვხედავდი. კამო კი ყოველ ჯერზე ყინულკარამელს იჯიბავდა. მეათედ რომ დავაჭყიტე თვალები, მასწავლებელი თავზე მადგა.

– რაო, ჭაბუკო, გეძინათ?

ოთახში ფეხს შემოდგამდა და კარს მიხურავდა თუ არა, მასწავლებელი ჩიტის ჩრდილივით სწრაფად და უხმაუროდ მაგიდასთან აღ-
მოჩნდებოდა.

– ეგ არაფერი, ახლავე გა-
მოგაფხიზლებთ!

სრულ სიჩუმეში მასწავლე-
ბლის ხმა, ასეთი მკვეთრი,
ლითონისებრი, მახვილი-
ვით მჭრელი, გულს გვი-
ფორიაქებდა.

– სხვათა შორის...

ჩანთას ხსნიდა (წკა-
რუნიც კი არ გვესმოდა,





გეგონებოდა, ხავერდის საკეტი იყო) და ჩვენს თემებს დააძრობდა, ისე, რომ ერთ ფურცელსაც არ გააფრიალებდა.

— თუ არ ვცდები...

ფურცლების გროვას ბანქოს ქაღალდებივით გადახსნიდა, ისე სწრაფად და მარჯვედ, რომ ჰაერს წამითაც არ შეარხევდა.

— თქვენ თემა არ ჩაგიპარებიათ, ხომ არ ვცდები?

მასწავლებელი არასოდეს ცდებოდა.

— გაკვეთილების შემდეგ ორ საათს დაყოვნდებით! მე კი ამასობაში ბატონ მამათქვენს გავესაუბრები.

აი, ასეთი იყო კრასტენგი და ასეთ დღეში ვიყავით ჩვენი ბავშვობის ბოლო ოთხი წელი: მეექვსე კლასი, მეხუთე, მეოთხე, მესამე *... და კვირაში ექვსი საათი ფრანგული ენა.

საბოლოო ჯამში 984 საათი, 59040 წუთი (დიახ, დიახ, ორმოცდაცხრამეტი ათას ორმოცი, არ შემშლია), თუ არ ჩავთვლით დამატებით საათებს, სასჯელს, რომელსაც მისი მკაცრი შეთვალყურეობის ქვეშ ვიხდიდით. ახლაც თვალწინ მიდგას მელოტითავი, მიტკალივით თეთრი, ტკიცინა, სამკუთხედი სახე, წაშლილი ნიკაპი, პატარა, ელვარე თვალებში

სწრაფი, ჩუმი მოძრაობები და ჯიბეზე ბურთულიანი კალმისტრის წითელი მელნის ლაქა.

- ტყუილად ბუზღუნებ, - მეუბნებოდა კამო,
- სხვას მის მსგავსს ვერსად ნახავ, წიგნებშიც ვერ იპოვი.


მერე ამატებდა:

- შეამჩნიე? არასოდეს არაფერს ეჯახება, არავის ეხება, შეიძლება, საკლასო ოთახის კარსაც არ აღებს, ისე შემოდის, გეგონება, კარი არც არსებობს, უბრალოდ ჰაერს კვეთს.

მერე, მეტროს მატარებლის მოლოდინში, კამოს ხმა ურბილდებოდა და ძველებურად თავდაჯერებული აღარ ჩანდა.

- მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკა!.. მართლა, დილით სააპაზანოში ონკანი გაგვიფუჭდა, წყალს უშვებს. დედაქემმა მთხოვა, ჰკითხე, ერთი, შენს ძმაკაცს, იქნებ, მამამისმა გვიშველოს და შეაკეთოსო.

დედამისი, ტატიანა, ერთადერთი ქალი იყო ამქვეყნად, ვისიც კამოს ეშინოდა. როცა მასზე ლაპარაკს იწყებდა, მუდამ თავს ხრიდა და სპორტულ ფეხსაცმელებს ასტერდებოდა.



მამა პოპი და დედა მუნი

გაკვეთილების შემდეგ სკოლაში ყურყუტი, ეს კი-
დევ არაფერი, მამა პოპი ამას ადვილად იტანდა და
არ მიბრაზდებოდა.

— თუკი შაბათის გატარება კოლეჯში გირჩევნია,
რა გაეწყობა, შენი საქმისა შენ იცი. თუ არ ვცდები,
კამო მხარში გიდგას და ისიც რჩება, ხომ ასეა?

მაგრამ, აი, „მცირე საუბრები ბატონ მამათქვენ-
თან“ სახუმარო სულაც არ იყო. რაც დრო გადიოდა,
მით უფრო ბრაზობდა. ბოლოს და ბოლოს, ის დღეც
დადგა, როდესაც მოთმინე-
ბის ფიალა აევსო.

— როგორ? კვლავ სა-
საუბროდ მიწვევს? არ
ნავალ და ეს იქნება!

ძალიან კარგად მახსოვს,
ხუთშაბათი იყო, ნაშუადლე-
ვი. სასტუმრო ოთახში სახე-
ლოსნო მოაწყო. ჩემთვის
რაღაცნაირი საწოლი გა-
მოიგონა: სიგრძეში სანტი-
მეტრს თუ მოვიმატებდი,
შემეძლო ერთი ნახვრეტით
დამეგრძელებინა. (სურდა,



ჩემთვის ესიამოვნებინა, კლასში ყველაზე ტანდაბალი ვიყავი და მეშინოდა, რომ სიმაღლეში აღარას-დროს მოვიმატებდი.

თავი ამინია, შემომხედა და სახრახნისი ჰაერში დაატრიალა.

– ნუ მაძალებ! არა-მეთქი, არ წავალ!

კუთხეში მიმჯდარი მუნი რაღაცას ხატავდა. მე იატაკზე დახორავებულ ხელსაწყოებს შორის ვიყავი დარჭობილი.

– არ წავალ, ვთქვი და გავათავე!

როგორც გულმოწყალე დედას შეჰვერის, მუნი საუბარში ჩაგვერია:

– იქნებ, შენ მაგივრად მე წავსულიყავი?

დღიური ძველი ქუდი-
ვით დავჭმუჭნე და წავი-
ჩურჩულე:

– არ გამოვა, მუნ,
კრასტენგმა გარკვევით
მითხრა: „ბატონი მა-
მათქვენი!“

ეს ვთქვი და პოპმაც
იფეთქა:

– არ წავალ! არც იოცნე-
ბო, მორჩა! მე ჩემი გითხა-
რი!

კარი ზათქით დაიხურა.
ის ორი თუ სამი ფურცე-





ნი აზრიც არ მომდის.

ლი, მუნის ხელით დახატული, პეპელასავით მსუბუქი კაბებით (კაბების ხატვა მისი ხელობა იყო) ჰაერში აფარფატდა. მე და მუნი ოთახში მარტო დავრჩით.

– როგორც ყოველთვის, თემის დამთავრება ვერ მოასწარი?

- არც დამიწყია.
- შენისთანა უმაქნისი მეორე არ მეგულება...
- არ შემიძლია და რა ვქნა?! თავში ერთი ხეირია-

კვირაში ერთი თემა, წელიწადში ოცდათექვსმეტი, რომ იანგარიშო, მეექვსედან მესამე კლასამდე, ას ორმოცდაოთხი გამოდის. „ჩემი პორტრეტი“, „ჩემი არდადეგები“, „ერთი საღამო ოჯახურ წრეში“, „როგორ შევიცვალე შარშანდელ ამ დღესთან შედარებით“, „ჩემი დეიდის ბალი“. ჰოდა, აი, შედეგიც. მე და კამომ შაბათი დღე კოლეჯში გავატარეთ. მე ბალი მქონდა, მაგრამ დეიდა არ მყავდა, კამოს დეიდა ჰყავდა, მაგრამ ბალი არ ჰქონდა. კრასტენგს ყურით მოთრეული ამბით ვერ გააცურებდი, თემას მაღლა აღმართავდა და აღრიალდებოდა:

— ეს წარმოსახვა
არ გახლავთ, ჩემო
საბრალო მეგობა-
რო, მხოლოდ და
მხოლოდ მტკნარი
სიცრუეა!

ორი წინადადების
შემდეგ სულ ერთსა
და იმავეს იმეორებ-
და:


— რომ იცოდეთ,
როგორ მეცოდება
საწყალი დედათქვე-
ნი.

სხვა თუ არაფერი, სპილოს მეხსიერება ჰქონდა:
— ერთი ეს მითხარით, არდადეგებზე რომ წერთ,
გასულ წელს ხომ არ გულისხმობთ? თვითონვე გან-
საჯეთ... შარშანდელი აღდგომის არდადეგებია, ხომ
ასეა? დამატებით ორი საათი და მცირე საუბარი ბა-
ტონ მამათქვენთან!

მერწმუნეთ, ყველა თემა ახსოვდა. ხმა დადიოდა,
რადგან ჩვენს ნაწერებს კითხულობს, ჩვენზე კარგა-
დაც გვიცნობსო.

— ჩემო საბრალო ბიჭუნა, საკუთარ თავს კი არა
და ვიღაც სხვას აღწერთ! თქვენ გარშემო ოჯახური
წრე კი არა, ეშმაკმა იცის, რა არის! სიცრუე! კიდევ
ერთხელ სიცრუე და სიზარმაცე! არაფერი იცვლე-





ბა! განა, თქვენი საბრა-
ლო მშობლები ამას იმ-
სახურებენ?

„ამას“ სწორედ ის
თემა იყო, რომელსაც
დამნაშავეს ჩვარივით
ცხვირნინ უფრიალებდა.

— არა, დედათქვენი¹
ამის ღირსი არ გახლავთ!

კამო მუჯლუგუნს
მკრავდა. მთელი კლასი
კრასტენგს მიშტერებო-
და.

კრასტენგი იმედგა-
დანურული ადამიანის იერით, თვალს მოგვავლებდა
და ხელებს უღონოდ ჩამოყრიდა. ფურცელი მაგიდის
ქვეშ შესრიალდებოდა. მასწავლებელს ბოლმა ყელ-
ში ქვითინად ეჩხირებოდა და ლაპარაკს უშლიდა. ამ
დროს საშინლად დაბერებულ ბავშვს ემსგავსებოდა.

— თქვენ კი, თქვენს მშობლებს არ იმსახურებთ!

არ ვიცი, იქნებ ვინმეს სიცილის სურვილი ეძალე-
ბოდა, მაგრამ, აბა, ერთი კარგი ვაჟკაცი ყოფილიყო
და გაღიმება მაინც გაებედა!

პოპს ყველაზე მეტად ის აღშფოთებდა, რომ მას-
ნავლებელი მშობლებს იცოდებდა.

— ეი, შენ, მომისმინე!